



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 24 თებერვალი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 17:30 საათი

შეხვედრის ადგილი: რონდელის ფონდი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
3. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
4. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, კავკასიის ეკოლოგია
5. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
6. ვლადიმერ ბოჭაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი

მოწვეული სტუმარი

7. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია - თბილისი

განსახილველი საკითხები:

- ✚ საერთო კრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები;
- ✚ ახალი წევრების მიღება;
- ✚ სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

საბჭომ განიხილა ყოველწლიურ საერთო კრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები, მათ შორის კრების დღის წესრიგი და საარჩევნო პროცედურები. საბჭომ ასევე იმსჯელა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების 412-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრების არჩევის წესისა და პროცედურების შესახებ.

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა ორგანიზაციის: „საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი“-ს მიერ წარმოდგენილი სააპლიკაციო განაცხადი და მათი პლატფორმაში გაწევრიანების საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა. შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა